დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2020 წლის 23 ივნისის N 02-09/35 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურსს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების (ქართული ფილმების) (სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე

საკონკურსო პირობები:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყბელის აჭარის ტელევიზია და რადიო" შეისყიდის ქართული ფილმების საჯარო გადაცემის ლიცენზიას:

- ლიცენზიის მოქმედების ვადა: კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებელს გადასცეს ფილმების ორჯერადი საჯარო გადაცემის უფლება (ფილმების მატერიალური ფორმით მოწოდების ჩათვლით) 6 თვის ვადით, არაუმეტეს 5 ფილმზე - 3 თვის ვადით.
- საჯარო გადაცემის უფლების სავარაუდო პერიოდი - 2020 წლის ივლისიდან - 2020 წლის თებერვლამდე.
- კონკურსში მონაწილე ვალდებულია წინამდებარე საკონკურსო განაცხადის დანართში მითითებული ფილმებიდან (70 ფილმი. იხ.დანართი) წარმოადგინოს 60 ფილმის სია, რომელზეც აიღებს ვალდებულებას რომ შეძლებს/აქვს მაუწყებლისათვის საჯარო გადაცემის ლიცენზიის გადაცემას.
- ფილმები, მატერიალური ფორმით, ასევე შესაბამისი ლიცენზია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის ვადაში (კონკრეტული ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით).
- განმცხადებელს უნდა ჰქონდეს შემოთავაზებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერში საჯარო გადაცემის უფლების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის უფლება მოპოვებული არ აქვს განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის, იგი ვალდებული იქნება არაუგვიანეს ფილმების მოწოდების დღისა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.
- კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მაუწყებელი კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი 60 ფილმიდან შეისყიდის არანაკლებ 50 ფილმის (სერიების ჩათვლით) საჯარო გადაცემის უფლებას.

ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გამარჯვებული ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი ხარისხის და ფორმატის ქართული ფილმები:

- ხარისხი: თანამედროვე ქართული ფილმები - აღიარებული სტანდარტის (მაღალი ხარისხი) შესაბამისი ხარისხი. ძველი ქართული ფილმების ხარისხი - მისაღები ხარისხი.
- ფორმატი: Full HD 1920X 1080 I 25 fps.Mpeg;
- ფილმები უნდა იქნას მოწოდებული მყარ დისკზე (HDD). დისკი მიწოდების შემდეგ წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას;

ერთი ქართული ფილმის ლიცენზიის ღირებულებისათვის განსაზღვრულია არაუმეტეს 690 (ექვსას ოთხმოცდაათი) ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების/გადასახდელების ჩათვლით. თუ ფილმი შედგება სერიებისგან, თანხა გადაიხდება თითოეული სერიისათვის.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის განმცხადებელი, რომელიც შემოსთავაზებს დამკვეთს ყველაზე დაბალ ფასს. ერთი და იმავე ფასის დაფიქსირების შემთხვევაში გამარჯვებულად მიიჩნევა ის კომპანია, რომლის მიერ წარმოდგენილი განცხადებაც კონკრუსში მონაწილეობის თაობაზე დამკვეთს წარედგინება პირველი.

კონკურსი მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

კონკურში მონაწილეობის მიზნით, განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს:

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე. განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსიილი წარმომადგენლის მიერ.
   განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყო სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის გიორგი კოხრეიძეს სახელზე.
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
3. შემოთავაზებული 60 ფილმის სია, შესაბამისი ფასის მითითებით.
4. საჯარო გადაცემის უფლების დამადასტურებელიდოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში)

განცხადების წარმოდგენის ვადები:

განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2020 წლის 23 ივნისი .

განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 2020 წლის 05 ივლისის ჩათვლით (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ვ) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:

1.განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არა სახელმწიფო

ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზედ დართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

2. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 ან ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.

3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
ინგა გოგოლიშვილი
ტელ: 591980520

საკონკურსო პირობების დანართი

ფილმების სია (რეჟისორის მითითებით):

1. "აკაკის აკვანი" - **კონსტანტინე პიპინაშვილი**
2. "ზღვის შვილები"- კონსტანტინე პიპინაშვილი
3. "სად არის შენი ბედნიერება მზია"- კონსტანტინე პიპინაშვილი

4. „ენგურის ნაპირებზე"- **დავით რონდელი**
5. „ჩრდილი გზაზე"- დავით რონდელი
6. მამლუქი -დავით რონდელი

7. "პალიასტომი"- **სიკო დოლიძე**
8. "კაცია-ადამიანი?!"- სიკო დოლიძე ქეთი დოლიძე
9. „სანამ წვიმა გადივლიდეს"- ქეთი დოლიძე

10. „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება"- **ნანა მჭედლიძე**

11. „ლომა"- **ბიძინა რაჭველიშვილი**
12. „ლომა დავიწყებული მეგობარი"- ბიძინა რაჭველიშვილი

13. „ოთარაანთ ქვრივი"- **მიხეილ ჭიაურელი**
14. "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"- მიხეილ ჭიაურელი

15. "ყვავილი თოვლზე"- **შოთა მანაგაძე**

16. „მაია წყნეთელი"- **რეზო ჩხეიძე**

17. „მანანა" - **ზაქარია გუდავაძე, შალვა მარტაშვილი**

18. "მარადისობის კანონი"- **ვალერიან კვაჭაძე**

19. "მთვარის მოტაცება"- **თამაზ მელიავა**

20. "მოიტაცეს თამარ ქალი"- **ლეილა გორდელაძე**

21. "სამანიშვილის დედინაცვალი"- **ელდარ შენგელაია**

22. თეთრი ქარავანი-ელდარ შენგელაია
23. შერეკილები-ელდარ შენგელაია

24. „სიყვარული ყველას უნდა"- მიხეილ ჭიაურელი (უმცრ.), **გიორგი შენგელაია**

25. ხარება და გოგია -გიორგი შენგელაია

26. „სიყვარული, ივერია და..."-**ზაალ კაკაბაძე** (მუსიკალური ფილმი)

27. " სიყვარულის ბალადა"- **ირაკლი კაკაბაძე**

28. „ქუჩის დღეები"- **ლევან კოღუაშვილი**

29. "დიდოსტატის მარჯვენა"- **ვახტანგ ტაბლიაშვილი**

30. მარადისობის კანონი-**ვალერიან კვაჭაძე**

31. მე ვხედავ მზეს -**ლანა ღოღობერიძე**

32. ოქროს ძაფი -ლანა ღოღობერიძე

33. „რაც გინახავს ველარ ნახავ" -**მიხეილ ჭიაურელი**

34. მალე გაზაფხული მოვა-**ოთარ აბესაძე**

35. სხვისი შვილები -**თენგიზ აბულაძე**
36. ნატვრის ხე -თენგიზ აბულაძე

37. უძინართა მზე -**თემურ ბაბლუანი**

38. მოიტაცეს თამარ ქალი -**ლეილა გორდელაძე**

39. ჭრიჭინა -**სიკო დოლიძე**
40. ფატიმა -სიკო დოლიძე
41. დღე უკანასკნელი დღე პირველი -სიკო დოლიძე

42. კუკარაჩა -**ქეთი დოლიძე**

43. ნინო -**ლეო ესაკია**
44. გიორგობის თვე -**ოთარ იოსელიანი**

45. ღვინის ქურდები -**ვალერიან კვაჭაძე**
46. ბებერი მეზურნეები -ვალერიან კვაჭაძე

47. ცხელი ზაფხულის სამი დღე -**მერაბ კოკოჩაშვილი**

48. მანანა -**ზაქარია გუდავაძე, შალვა მარტაშვილი**

49. კეთილი ადამიანები -**შოთა მანაგაძე**
50. ჭირვეული მეზობლრბი -შოთა მანაგაძე

51. საბუდარელი ჭაბუკი-შოთა მანაგაძე

52. მთვარის მოტაცება -**თამაზ მელიავა**

53. სინათლე ჩვენს ფანჯრებში- **გუგული მგელაძე**

54. ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი -გუგული მგელაძე

55. იმერული ესკიზები -**ნანა მჭედლიძე**
56. პირველი მერცხალი -ნანა მჭედლიძე

57. ცეროდენა რაინდები -**ნელი ნენოვა**

58. მაია წყნეთელი -**რეზო ჩხეიძე**
59. ჩვენი ეზო -რეზო ჩხეიძე

60. განგაში -**ნიკოლოზ სანიშვილი**
61. აბეზარა -ნიკოლოზ სანიშვილი
62. ბედნიერი შეხვედრა -ნიკოლოზ სანიშვილი

63. ქეთო და კოტე -**ვახტანგ ტაბლიაშვილი, შალვა გედევანიშვილი**

64. დიდოსტატის მარჯვენა -**ვახტანგ ტაბლიაშვილი, დევი აბაშიძე**

65. უდიპლომო სასიძო -**ლევან ხოტივარი**
66. მხიარული რომანი -ლევან ხოტივარი

67. ფეოლა -**ბაადურ წულაძე**

68. წარსულის აჩრდილები-**ლევან თუთბერიძე**
69. ნაზარის უკანასკნელი ლოცვა-ლევან თუთბერიძე
70. უშენოდ მგონი მოვკდები -ლევან თუთბერიძე